*პროექტი*

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---აპრილი 2017 წელი

**ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ხიზაბავრის ქუჩასთან მდებარე უსახელო გასასვლელისთვის, ორი უსახელო ჩიხისთვის ხიზაბავრის I გასავლელის, I და II ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ**

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ხიზაბავრის ქუჩასთან მდებარე უსახელო გასასვლელს, ორ უსახელო ჩიხს მიენიჭოს ხიზაბავრის I გასავლელის, I და II ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი


X:484,207.200
Y:4,626,798.677
X:484,198.739
Y:4,626,792.760
X:484,240.439
Y:4,626,811.598
X:484,222.659
Y:4,626,758.468
I გას.
II ჩიხი
X:484,097.292
Y:4,626,670.230
X:484,177.153
Y:4,626,698.560
X:484,356.849
Y:4,626,684.811
X:484,270.709
Y:4,626,650.944
X:484,391.107
Y:4,626,645.389
X:4484,179.905
Y:4,626,647.115
I ჩიხი
X:484,145.193
Y:4,626,621.942
X:484,320.449
Y:4,626,627.024
X:484,328.493
Y:4,626,639.723
X:484,379.140
Y:4,626,631.756
X:484,168.268
Y:4,626,597.613
X:484,255.598
Y:4,626,607.684

02/865

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს
ქ-ნ ლია ჯახველაძეს


მოქ. მამუკა დემეტრაშვილი
მცხ. ქ. თბილისი მუხიანი მ-3 მ/რ. კ.4ა-4
ტელ. 599.644535
პ/ნ


# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ მიანიჭოთ ქუჩის სახელი - გლდანის რაიონში. ახლო-მდებარე ხიზაბავრის ქუჩასთან. საკადასტრო კოდი: 01.11.12.018.025

განც. მ. დემეტრაშვილი
15.12.2016.


ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი
№ 20279
"15" დეკემბერი 2016
ფურცლების რაოდენობა 2
0105, თავისუფლების მოედანი №2

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

**საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**

გადაწყვეტილება # M16014239/3 ( 24/11/2016 12:41:43)

## ხარვეზის დადგენის შესახებ

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა განცხადება **#M16014239 17/11/2016** 13:19:01 (განმცხადებელი: შპს გრი-ბილდინგ/400146588/ წარმომადგენელი: მამუკა დემეტრაშვილი/01003002387/ ), რომლითაც მოთხოვნილია შენობა-ნაგებობების ნუმერაციის წარმოშობა.

მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა ხიზაბავრი
საკადასტრო კოდი: 01.11.12.018.025

**თანდართული დოკუმენტაცია:**

- წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი

თქვენს მიერ წარმოდგენილ განცხადებასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ვინაიდან სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ მისამართზე არ არსებობს ქუჩის სახელწოდება, შესაბამისად შეუძლებელია უძრავი ნივთისთვის ნომრის მინიჭება. აღნიშნულიდან გამომდინარე დამატებით წარმოსადგენია უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი ქუჩის სახელდებასთან დაკავშირებით. დამატებით გაცნობებთ რომ „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 9' მუხლის მე-2 პუნქტის „უ" ქვეპუნქტის თანახმად უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს ქ. თბილისის საკრებულო. 'საჯარო რეესტრის შესახებ' საქართველოს კანონის 21–ე მუხლის შესაბამისად შეჩერდეს სარეგისტრაციო წარმოება და შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოსადგენად განისაზღვროს ვადა: 30 კალენდარული დღე. აღნიშნულ ვადაში დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, სარეგისტრაციო წარმოება შეწყდება.

გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (მის.: ქ. თბილისი, წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ.#2) და მხოლოდ შემდგომ სასამართლოს წესით.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ::: მისამართი: ქ.თბილისი, წმ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ. #2 ::: www.reestri.gov.ge